განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

დღეს მოქმედი რეგულაციის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ითვლება დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. აღნიშნული წესი საერთოა ყველა პირისთვის და არ ითვალისწინებს არასწრულწლოვანთა თავისებურებებს. საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ აყალიბებს ახლებურ მიდგომას, რომლის თანახმადაც ბავშვის მიმართ სექსუალური, ეკონომიკური, ოჯახში ძალადობის ან სხვა ფორმის ძალადობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ხანდაზმულობის ვადა აითვლება სრულწლოვანების მიღწევიდან. აღნიშნულის გამო აუცილებელია სამოქალაქო კოდექსში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არასრულწლოვნის საკუთრების უფლების გასხვისებაზე სასამართლო კონტროლის აუცილებლობას, რაც სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

მშობელთა განქორწინებიდან გამომდინარე 10 წლამდე ასაკის ბავშვისთვის გვარის შეცვლისას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მისი სურვილის გათვალისწინებას, თუნდაც ამის შესაძლებლობას იძლეოდეს მისი სიმწიფის ხარისხი.

ბავშვის აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობისას ან არასათანადოდ შესრულებისას, ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენებისას კანონმდებლობა სასამართლოსადმი დამოუკიდებლად მიმართვის უფლებას არასრულწლოვანს ანიჭებს 14 წლის ასაკიდან, რაც დაცვის სათანადო გარანტიების გარეშე ტოვებს 14 წლამდე პირთა უფლებებს.

კანონმდებლობა ასევე არ ითვალისწინებს 14 წლამდე პირის ინიციატივით მშობლის უფლებების ჩამორთმევის საკითხის განხილვის შესაძლებლობას, აგრეთვე 10 წლამდე ბავშვის პოზიციის გათვალისწინებას ჩამორთმეული უფლების აღდგენის საკითხის განხილვისას, რაც არ შეესაბამება ბავშვის უფლებების დაცვის მაღალ სტანდარტს.

მოქმედი კანონმდებლობით, გაშვილების საკითხის განხილვისას სასამართლო მხედველობაში მხედველობაში იღებს მხოლოდ 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვის პოზიციას. ამ ასაკამდე ბავშვის შეხედულება კი გაუთვალისწინებელი რჩება, მიუხედავად მისი საუკეთესო ინტერესებისა.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა;

კანონის მიღება აუცილებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისობაში მოსაყვანად „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ პროექტით გათვალისწინებულ ცვლილებებთან.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღებით პირის მიმართ არასრულწლოვნობის დროს განხორციელებული სექსუალური, ეკონომიკური, ოჯახში ძალადობის ან სხვა ფორმის ძალადობისას, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყება პირის სრულწლოვნობის მიღწევის მომენტიდან, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს არასრულწლოვანთა უფლებრივ მდგომარეობას და პრაქტიკულად გამორიცხავს გამოუცდელობის გამო მათი უფლებების რეალიზების საფრთხის ქვეშ დაყენებას. ასევე აღმოიფხვრება ზემოთ მითითებული პრობლემური საკითხები, რითაც უზრუნველყოფილი ბავშვის უფლებათა კოდექსით დადგენილ მაღალ სტანდარტთან შესაბამისობა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით, ცვლილებები შედის კანონის 130-ე, 183-ე, 186-ე, 1196-ე, 1198[1], 1206-ე, 1209-ე და 1255-ე მუხლებში.

აღნიშნული ცვლილებების განხორციელების შედეგად:

ბავშვის მიმართ სექსუალური, ეკონომიკური, ოჯახში ძალადობის ან სხვა ფორმის ძალადობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ხანდაზმულობის ვადა აითვლება სრულწლოვანების მიღწევიდან;

დაწესდება სავალდებულო სასამართლო კონტროლი არასრულწლოვნის საკუთრების უფლების გასხვისების პროცედურებზე;

მშობელთა განქორწინებიდან გამომდინარე 10 წლამდე ასაკის ბავშვისთვის გვარის შეცვლისას სასამართლოს დაეკისრება ვალდებულება გაითვალისწინოს მისი სურვილი, მისივე სიმწიფის ხარისხის შესაბამისად;

14 წლამდე არასრულწლოვანს მიენიჭება უფლებამოსილება დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს თავის უფლებების დასაცავად, მშობელთა მხრიდან ბავშვის

აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობისას ან არასათანადოდ შესრულებისას, ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენებისას;

სასამართლოს მიენიჭება უფლებამოსილება მშობლის უფლებების ჩამორთმევის საკითხი განიხილოს 14 წლამდე ასაკის პირის ინიციატივითაც;

სასამართლოს ასევე მიეცემა 10 წლამდე ასაკის ბავშვის პოზიციის გათვალისწინების შესაძლებლობა ჩამორთმეული უფლების აღდგენის საკითხის განხილვისას.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში);

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებით.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება;

აღნიშნული კანონი უნდა ამოქმედდეს „ბავშვის უფლებათა კოდექსთან“ ერთად, შესაბამისად ამოქმედდება 2020 წლის 1 ივნისიდან.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას);

კანონპროექტის ინიციატორი არ ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ ააუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ)კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა დაცვის ფონდის (უნისეფის) საქართველოს წარმომადგენლობა. ევროპის საბჭოს წარმომადგენლობა საქართველოში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების), სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი - სოფო კილაძე,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი - პაატა ტურავა.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: სოფო კილაძე, ანრი ოხანაშვილი, კარლო კოპალიანი, ირაკლი (დაჩი) ბერაია, ლევან ბეჟანიძე, კობა ლურსმანაშვილი, ვანო ზარდიაშვილი, დავით მათიკაშვილი, რატი იონათამიშვილი, მერაბ ქვარაია, ირაკლი მეზურნიშვილი, გიორგი კახიანი, ცოტნე ზურაბიანი, აკაკი ზოიძე, დიმიტრი მხეიძე, გოგა გულორდავა, გურამ მაჭარაშვილი, დიმიტრი ხუნდაძე, მახირ დარზიევი, მირიან წიკლაური, მამუკა მდინარაძე.